№ 1..
სამშაბათი, 10 ივლისი

1877—1895

№ 145
სამშაბათი, 10 ივლისი 1895

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 70 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 55 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

სამშაბათს, 11 ამ ივლისს, დილის 11 საათზედ ქვაშვეთის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის **თავადის პეტრე გიორგის ძის ნაკაშიძის** სულის მოსახსენებლად. **მეგობარნი** და **პატივის-მცემელნი** განსვენებულისა სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა სცენ-პატივი და მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად.

---

**დედა, მეუღლე, დები** და **სიძე კონსტანტინე ხიდირბეგიშვილი** განსვენებულის **თავადის ივანე დავითის ძის ფავლენიშვილისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და სთხოვენ მობრძანდნენ 13 ივლისს წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად გორის მაზრის სოფ. ერედვში, წმ. გიორგის ეკკლესიაში.

(2—1645—1).

---

# ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვემართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

---

## ნეკროლოგი.

† თ. პეტრე გიორგის ძე ნაკაშიძე.

თავ. პეტრე ნაკაშიძე იმ ახალ გაზდა დასს ეკუთვნოდა, რომელმაც 60 წლებში დაიწყო ჩვენში მოქმედება. ლიტერატურაში პირველად მიიღო მონაწილეობა თავადმა ილ. ჭავჭავაძის ჟურნალში „საქართველოს მოამბე“. ის ვარშავიდგან აგზავნიდა ცოცხალს, კარგის ენით დაწერილს წერილებს, რომელთაც არა თუ მაშინ, ახლაც დიდის სიამოვნებით წაიკითხავთ. როდესაც დაბრუნდა თავისს სამშობლოში, მომრიგებელ შუამავლად მსახურებდა კარგა ხანს და სიმპატიურისა და გულკეთილის ხასიათით ხალხის სიყვარული შეიძინა.

არც ერთს ჩვენს, ქართულ საქმეს გზას არ უხვევდა, ყოველგან და ყველასი დახმარება სურდა, რითაც-კი შეეძლო; საზოგადო ასპარეზზედაც სამსახურს ჰკისრულობდა. რამდენჯერმე არჩეული იყო გურიის თავად-აზნაურობისაგან თავისს წინამძღოლად. უკანასკნელ დროს, ის მთელმა დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობამ გუბერნიის მარშლად აირჩია, მაგრამ მმართებლობამ არ დაამტკიცა რადგან თავ. პეტრეს შეტაკება მოუხდა ადმინისტრაციასთან, გურიის თავად-აზნაურობის მამულების თაობაზედ.

თავ. გარდაიცვალა ბორჯომში, სადაც დააფლავებენ დროებით.

---

# ახალი ამბავი

—

*** ჩვენ შევიტყვეთ ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი, რომელიც არ შეგვიძლია არ გავუზიაროთ ჩვენს მკითხველებს: თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს ჰსურს, თუ-კი საუფლის-წულო დაწესებულება დაეთანხმება, შეისყიდოს 170 ათას მანეთად ის მამული, რომელიც ამავე ფასად შეუძენია მუხრანში ამ დაწესებულებას.

თავში რომ ვსთქვით სასიამოვნო ამბავიო, იმიტომა ვსთქვით, რომ აქამდის ჩვენი თავად-აზნაურობა სულ ჰყიდდა და ჰყიდდა თავისს მამულებს და ახლა-კი ერთი თავადი მაინც აგვიჩნდა ისეთი, რომელიც პირიქეთ ჰყიდულობს და ჰმატებს თავისს მართლა რომ დიდ მამულს.

*** გუშინ ღამ პეტიპას დასმა წარმოადგინა ფიგაროს ქორწინება, ბომარშესი; დასის ორივ მეთაურები ცოლ ქმარი მშვენივრად თამაშობდნენ—საზოგადოებამ დიდად იმხიარულა ამ უკვდავ კომედიის წარმოდგენით. ეს წარმოდგენა უკანასკნელი იყო ტფილისში. გუშინ, ორშაბათს, დასი გაემგზავრა ქუთაისში, სადაც, სხვათა შორის, მადამ სან ჟენსაც წარმოადგენენ. ეს პიესა ძალიან მოეწონება ქუთაისის საზოგადოებას. მხოლოდ სამწუხაროა, რომ, დეკორაციების უქონლობის გამო, ვერ შეეძლებათ სრულის შთაბეჭდილების მოხდენა.

*** საერო განათლების სამინისტრო აუწყებს ყველა ოლქების მზრუნველთ, რომ ფინანსთა სამინისტროსი და სახელმწიფო კონტროლის თანხმობით ნება დართულია სახელმწიფო ხაზინიდგან წინ-და-წინ მიეცეს ხოლმე ოთხის თვის ჯამაგირი ყველა იმათ, ვინც-კი მასწავლებლად არის სასწავლებლებში, რომელნიც ერობის, ქალაქისა, საზოგადო დაწესებულებისა და კერძო კაცთა ხარჯით არსებობენ.

სამინისტრო ასეთი განკარგულება ფრიად სასიამოვნოა, რადგან დღემდე თუ არ მთავრობისაგან დაარსებულ სასწავლებლის მასწავლებელთ, დანარჩენთ არავითარი უფლება არა ჰქონდათ, რომ ხაზინიდგან წინ-და წინ გამოეტანათ ფული და ამით შეღავათი მისცემოდათ.

*** კვირას, ცხრა ივლისს, ტფილისიდგან წავიდა კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ბაქოს ნაწილის რკინის გზის ლიანდაგი და სადგურები.

თვით ტფილისის რკინის გზის სადგურს დაათვალიერებენ ჩამოსვლის შემდეგ, 13—ან 14 ივლისს.

*** ტფილისის გუბერნიის ბეითალი გეორგიზონი გაგზავნილ იქმნა სიღნაღისა და ახალ-ქალაქის მაზრებში, რათა საფუძვლიანად გამოიკვლიოს და შეისწავლოს ამ მაზრებში საქონლის მოვლა-მოშენების საქმე.

*** დ. ართვინის მცხოვრებს ფილიპე აშრაფიანს ბათუმის ოლქის ზემო-აჭარის ნაწილში, სოფელ მონხინაძესა, სამანსკსა და ლევლევეს მახლობლად და აგრეთვე უდვილსა, კაიდსა, ოქისი-ბოლოსა და ართვინის ოლქში სოფელ ბალ-ხოტილსა და ჩანს მახლობლად მადანი აღმოუჩენია.

სპილენძის აღმომჩენმა და ბ-ნმა ვართაზაროვმა, რომელიც აშრაფიანმა ამხანაგად გაიხადა, კავკასიის სამთო სამმართველოს აცნობეს ეს და სხოვეს, რომ ადგილობრივ იქმნას გასინჯული მადანი სამმართველოს მიერ გამოგზავნილ სამთო მიწის მზომავისაგან.

*** „რუსეთის სააგენტოსაგან“ მოსულ 6 ივლისის დეპეშა იუწყება, რომ სამხედრო მინისტრი პ. ს. ვანნოვსკი ოდესსიდგან პეტერბურგს მიდისო.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს შეუტყვია, რომ ქუთაისის გუბერნიის მმართველობა მომავალ წლიდგან „ქუთაისის საგუბერნიო უწყებებს“ აღარ გამოსცემსო“.

*** როგორც „ბირჟ. ვედ.“-ს შეუტყვია, ამ წელს სამთო ინსტიტუტში მეორე კურსზედ არავის მიიღებენ თურმე.

*** ტფილისში ივლისის 8-სა და 9 ს დიდი წვიმები იყო.

*** ამ დღეებში ტფილისს ესტუმრება გამოჩენილი ცირკი სურისა. ამ ცირკს დიდი სახელი აქვს მთელს რუსეთში. სურს თან მოჰყავს 51 ველური ქალი, დაგომელები. ამ ველურ ქალებს საოცარი შთაბეჭდილება მოუხდენიათ პეტერბურგში და მოსკოვში. ესენი სრულიად უბელო ცხენებზედ ვარჯიშობენ და ჯირითობენ ისე მარდათ, რომ სხვა ამას თავისს დღეშიც ვერ მოახერხებს. ამ ქალებს გარდა ბალეტში მოცეკვავი 24 ქალი მოჰყავს. ამ ზაფხულში ეს ერთად-ერთი გასართობი მოელის ჩვენს ქალაქს.

*** ოსმალეთის საზღვარზედ ჰოროხის ჩასართავში დარაჯებმა შენიშნეს ნავი და რამდენჯერმე შეუძახეს. ნავი უკანვე გაბრუნდა. მაშინ დარაჯებმა მათ თოფები ესროლეს და

---

# ფელეტონი

—

## გმირო გაჩნდი.

გმირო გაჩნდი, მდევო—გმირო,
გაჩნდი, გადმოგვხედე თავსა,
გადმოგვხედე, დაგვინახე,
ვით ვუპყრივართ ბნელს და ჟამსა.
წახდა გული, წახდა სასო,
ერი განართხულა ჯვართა...
ბეწვის ხიდზედ გასაყვანად
ჩვენ მივყევართ ქონდრის კაცთა.
შემოგვხედე ლილიპუტთა,
ვით დავქოჩრეთ ერთმანერთი;
ჩვენი თავი გავიხადეთ
სალოცავი ხატი, ღმერთი;
ჩვენს ანგარს გულს ვანაცვალეთ
მშობელი, აღმზრდელი ერი,
გახრწნილება მის გულს შეგვაქვს,
ვითა ნიჭი ზეციერი.
ზნე გაყრყვნილნი, ზნე გვემულნი
გვიპირებენ მოძღვრებასა,
ჩირქიანის ხელით სთესენ
თვისს ზნესა და თვისს მცნებასა;
ყოველს მაღალს აზრს და წადილს,
ეძახიან ოცნებასა;
მხოლოდ ჰუჰყსა, ნაგავს, წუმპეს
ლოცულობენ, სწირვენ თავსა...
შემოგვხედე, ვით ვამაყობთ
მამა-პაპათ საფლავებსა,
აკლდამაებს ჩავცქერივართ,
მკვდრებში ვეძებთ სიცოცხლესა.
რა განკიცხვით, რა კილვითა,
საქოჩრემდის ტალახს ფლულნი,
ქვეყნის წაღმა ბრუნვას ვსწუნობთ,
უმეცრებით შემუსრულნი.
შემოგვხედე, ვითა ვშთანთქეთ
მამა-პაპათ სისხლი, ძვალი,
ვით უკიდებთ სამშობლოს ცეცხლს
და არ ძღება ჩვენი თვალი.
ვით ასპიტი შხამიანი
ვჭამთ ჩვენთ შვილთა ხორცს და
ძვლებსა;
რა დიდებით მუცელს ვიდებთ
გაუმაძღრათ ხვალის დღესა.
შემოგვხედე, ვით გველს ბუჩქში,
მოგვცემია ცეცხლი გარსა,
ჯოჯოხეთის კუპრი, ნავთი
დაასწველად გვესხმის თავსა...
კომლმა, ნისლმა, ბურმა, ჯანღმა
დაგვიბნელეს მზის ნათელი,
ცის მნათობად მიგვაჩნია
გარს მომდგარი ცეცხლი მწველი.
ალარა სჩანს გზა და კვალი,
წახდა, გაჰქრა გულს იმედი;
აღარ ვიცით, რომელს ელქაჯს
შეუპყრია ჩვენი ბედი.
ტვირთმა მძიმემ დაგვიხარა
ქვესკნელისკენ თვალი, თავი:
რა მოგველის, რას ვეხწევით
აღარ არის დამნახავი.
არც გაკითხვა, არც ნუგეში,
არც მკურნალი, არც მსაჯული;
ენას გაზი, ტვინს მუხრუჭი,
გული ათას დაღ დასმული...
აღარ არის ძალა, გონი,
დაგვეკარგა მცნება სრული...
გმირო გაჩნდი, მდევო—გმირო,
ჰკურნე ჩვენთა სენთა წყლული.

ანტ. ფურცელაძე.

1894 წ., 15 ენკენისთვეს.

---

## კაპიტალიზმის ბედი ზოგიერთ ქვეყნებში.

ვუძღვნი ჩვენს მარქსისტებს.

(შემდეგი *).

### II

ყველა ამის შემდეგ, რასაკვირველია, ცუდად მიდიოდეს რუსეთში იმ მრეწველობის საქმე, რომელსაც უმეტესად სახალხო ბაზარი აქვს. ეს მრეწველობა ბამბეულობის მრეწველობაა. იგი ყველა სხვა დარგზედ უფრო განვითარდა რუსეთში, რადგან უცხო მამბეულობაზედ ბაჟი იყო დადებული და, რაც უნდა იყოს, შინ ერთობ დიდი ბაზარი ჰქონდა [1]). მაგრამ რაც უნდა განვითარდეს, ერთი დარგი მრეწველობისა ვერ შეჰქმნის მრეწველობას. ამას გარდა ამ დარგსაც ერთობ ავი დარი დაუდგა, რადგან მისი წინ წასვლა აწ, ვგონებ, საძნელო შეიქმნა. მიზეზი ამისი ცხადია: ხალხის და, მაშასადამე, ბაზრის სიღარიბე, რომელიც გამოწვეულია, თავისის მხრით, პურის მეტისმეტის სიიაფისა და ბევრ კიდევ სხვა მიზეზთაგან [2]). შემდეგ ამისა, რასაკვირველია, არ გაგვიკვირდება, როდესაც ამგვარ ფაქტებს ვხედავთ: „1881 წ.—1886 წ. სელის მოყვანა ისე შემცირდა (ბამბეულობის შემდეგ სელის მრეწველობა ყველაზედ უფრო განვითარებულია [3]), რომ 23%-ით იკლო მაშინ, როდესაც რუსეთის ფაბრიკებზედ სელის წარმოება შემცირებული იყო და საზღვარ-გარეთკი ბლომად გაჰქონდათ სელი“ [4]).

ამ წლის 30 იანვარს მოსკოვის ფაბრიკანტმა პროხოროვმა წაიკითხა „სამანუფაქტურო მრეწველობის გაუმჯობესების და განვითარების დამხმარებელ საზოგადოების“ კრებაზედ რეფერატი ჩითეულობის ვაჭრობისა და წარმოების შესახებ 1894 წელში.

აი რას ამბობს იგი: „1891 წლს ჩითეულობის წარმოებისა და გასაღებისათვის 1893 წელი სჯობდა ბევრად. 1893-ს რაც სავაჭრო გაუყიდველი დარჩა, იმან ერთობ ცუდად იმოქმედა საქმეზედ. საზოგადოდ, პირველ სამ თვეს მოსკოვში საქონელი

---

[1]) იხილე ხსენებული: Очерки нашего пореформеннаго хозяйства. Николай-онъ.

[2]) ib.

[3]). ib.

[4]) იხილე Русское Богатство. 1895. февраль. ხსენებული Апологія власти денегъ, какъ признакъ времени.

მოკლეს ერთი ნავში მჯდომთაგანი, რის შემდეგაც ნავი შესდგა. მოკლულის გვამი დანარჩენ მგზავრებითურთ ბათუმის საბაჟოში გაგზავნეს. ამ მგზავრებს ოსმალეთის საზღვრიდგან უპასპორტოთ უნდოდათ გადმოსვლა ჭოროხის აქეთა ნაპირზედ. („ჩერნ. ვესტ.“).

*** ჩვენ მოგვივიდა პარისიდგან წიგნი Livre d'or a la memoire d'Alexandre III. შინაარსი ამ წიგნისა შეიცავს განსვენებულის იმპერატორის შესახებ ყოველს ცნობას. უმთავრესის ყურადღებით მოთხრობილია ყოველივე, რაც-კი შეეხება ფრანგ რუსთა კავშირს, ვრცლად აწერილია იმპერატორის დასაფლავება. წიგნში მოთავსებულია გაზეთების და გამოჩენილ მოღვაწეთა აზრი თვით იმპერატორის შესახებ. წიგნი მშვენივრად დასტამბულია და სურათებით სავსე.

*** ექ. ხელაძის სტამბაში უკვე იბეჭდება და ჩქარა გამოვა „ნეტვრის თვალი“, კომიკური ოპერეტტი ოდრანისა სამ მოქმედებად, დიუროს და შილიოს ოპერეტტიდგან გადმოქართულებული ბ-ნ ა. მ. ახნაზაროვის მიერ. ეს ოპერეტტი ორჯელ წარმოადგინა ჩვენმა დასმა სცენაზედ. ოპერეტტი იბეჭდება მიხეილ ექვთიმეს ძის ხელაძის ხარჯით.

*** გუშინ-წინ, კვირას 9 ივლისს, ნაშუალამევის პირველ საათზედ ფოთიდგან მოსულ მატარებლის, № 44, ალაყიდგან გადმოვარდა კონდუქტორი ვლადიმირ მიხაილოვი. საბრალო ყმაწვილი კაცი პირდაპირ მატარებლის ქვეშ ჩავარდა, მატარებლის თვალმა ზედ გადაუარა და ორივე ფეხი მოსწყვიტა ბარძაყამდე. სულთმაბრძოლი მიხაილოვი მაშინვე რკინის გზის საავადმყოფოში გააქანეს.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „მთა-წმიდის ეკკლესია და წმ. მამა დავითის ცხოვრება“ შედგენილი და გამოცემული მღ. ნესტორ მაჭარაშვილის მიერ. წიგნის გასყიდვისაგან დარჩენილი ფული ავტორს წიგნისას მამა-დავითის ეკკლესიის სამრევლო ქალთა სკოლისათვის გადაუდვია, როგორც ამას ამტკიცებს წიგნის წარწერა. წიგნი მშვენიერს ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 63 გვერდსა და ღირს სამი შაური.

*** სოფ. იანეული, (ოზურგეთის მაზრა): თუმცა მდინარე სუფსაში უხიდობის გამო რამდენიმე ადამიანი დაირჩო, მაგრამ მაინც დღემდის არ გვღირსა ხიდის გაკეთება.

*** ს. მერეთი, (გორ. მაზრა): კოშკა, კულბითი, დისევი და გარეშემო სოფლები დიდს უწმინდურობაში ჩავარდნილი. ვერც ერთ[...]ფელს ვერა ნახავთ, რომ [...]ვით და ნაგვით არ [...]ეს სავსე. ყველას კარებზედ [...]ის სიმაღლეზედ აგროვია პატივი და ეს უწმინდურობა ჰშხ[...]ავს ჰაერს და ჩნდება ათასნაირი სნეულება,— ციებ-ცხელება მეტად გავრცელდა და იმედია ამ სნეულებას მალე სხვაც მოჰყვება და სრულიად დაგვღუპავს. გარდა ამისა დიდს გაჭირვებაში ვართ უგზოობის გამო. ისე ვერსად გაივლით, რომ გზა გაფუჭებული არ იყოს, თუ სოფლის გარეთ, თუ სოფლებში, თავისუფლად, ვერც ურმითა და ვერც სხვა რითმე.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

*** მარტვილი: საშინლად შეწუხებულნი და გაჭირვებულნი ვართ უგზობით. იქამდის წამხდარია გზა, რომ დარშიაც-კი ძნელია ამ გზით სიარული, თორემ წვიმაში ვინ გაჰბედავს ამ გზით სიარულს. კარგი იქნება ადგილობრივმა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ ჩვენს გაჭირვებას.

*** ს. ხორგა: ამას წინად ხორაგს ერთს ოჯახში შემხვდა მღვდელი მასწავლებელი მამა ნიკოლოზ დათუაშვილი. გარდა იმისა, რომ ამ საპატიო კაცს ლამაზად შეუსწავლებია პატარა სოფლის ბავშვებისათვის ქართული გალობა, აუშენებია სკოლა საკუთარის მეოხებით, სადაც ასწავლის ქართულს ენას, გაუკეთებია პარომი და სხ.

არ იქნებოდა ცუდი, რომ ამ ამბავს ყურადღებით წაიკითხავდნენ, ვისაც დაახლოვება აქვს ხალხთან.

## შეცდომის გასწო[რება]

კვირის ნომრის მოწინავე წერილის მეორე სტრიქონში დაბეჭდილია: „მას [შე]სანიშნავი მამულიშვილი“, უნდა იყოს „მას მოუკვდა შესანიშნავი მამულიშვ[ილი]“.

## ძაკვირდი

ასტრონომისათვის კუდიან ვარსკვლავის გამოჩენაა აღდგომა; ადვოკატისთვის დანაშაულობის გაგონება; ჩინოვნიკისთვის მეუფროსესთან შეჭიდრების თამაში; ხასისთვის საყვარლის ცოლის სიკვდილი.

**

კაი ბატონის წყალობა ყმიდგოს მიმდების სიცუდეს ამტკიცებს, რისხვა-კი სიკეთეს.

თრაზიბულ.

## კორესპონდენცია.

**სოფ. კულაში:** კვირას, 18 ივნისს, ბლაღოჩინის ერმალოზ კანდელაკისაგან მოწვეულნი იყვნენ აქაურ ჯვარცმის ეკკლესიის მრევლნი, რომელთაც უნდა მოელაპარაკნათ ეკკლესიის დახურვის შესახებ. დიდხანს ჰქონდათ რჩევა-თათბირი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერ სასურველს დასკვნას ვერ დაადგნენ. აქაურს გლეხებს ნება არა აქვთ თავიანთი მიცვალებული ქრისტიანულის წესისამებრ ეკკლესიაში შეასვენონ. ამიტომაც იყო, რომ გლეხებმა განაცხადეს: „ეკკლესიის დახურვაში ხარჯს გამოვიღებთ, თუ ეკკლესიის წინაშე ყველანი თანასწორნი ვიქნებით და შეგვეძლება ჩვენი მიცვალებული შევასვენოთ ეკკლესიაში“-ო. ამაზედ თავადებმა უპასუხეს: „ეკკლესია საერთო ხარჯით დავხუროთ და თუ მიცვალებულის შესვენება გინდათ ეკკლესიაში, ამისათვის თითოეულ მიცვალებულზედ ხუთი თუმანი გარდაიხადეთო“. მაგრამ გლეხები ამ წინადადებას არ დასთანხმდნენ.

იმავე დღეს ერთმა თავადმა ასე[...]ართა საზოგადოების პრო[...]ა, რომ ეკკლესიაში შემოსვლით ერთი კაცი, რომ დაბალისა ვალდა[...]ს იქნება, რ[...] მაღალ-წოდებიანი თავ-თავიანთი ადგილი უჩვენონ!. მაგრამ გლეხები არც ამ წინადადებას დასთანხმდნენ და ხმა ამოუღებლად ყველამ პირი იბრუნა სახლისაკენ წასასვლელად.

ვლ. კულაშელი.

## უცნაური შემთხვევა.

რაჭის მაზრაში არსებობს ერთი ძველის ძველი წმიდის გიორგის ეკკლესია, რომელიც მდებარეობს სოფელ მრავალძალში. ეს გახლავთ ის ეკკლესია, რომლის წინაშეც ქედი მოიხარა ქვეყნის მმუსვრელმა შაჰაბასმა და რომელსაც ოქროთი მოჭედილი და ძვირფასის თვლებით შემკული ხმალი მიართვა. არ ვიცი ვისის ნება-რთვით და ეს ეკკლესია ეხლახან სულ ერთიანად დაანგრიეს და მის ნაცვლად ახალს აშენებენ. თუ-კი საჭირო იყო, ნუ-თუ არ შეეძლოთ ამ საქმის მოთავეთ ახალის ეკკლესიის აშენება ძველის დიდებულის ნაშთის დაუქცევ-დაუმხობლად? ვინ იცის ამის დაქცევით რა დაიკარგა ჩვენის ისტორიისათვის საეკკლესიო ხელოვნების მხრივ. მაგრამ არიან ვაჟბატონები, რომლებიც არაფერს არ ინდობენ.

ეს უბედურებაც არ აკმარეს ხსენებულს ეკკლესიას. ამ გაზაფხულზედ, როგორც ადგილობრივის ბლაღოჩინის ეპისკოპოსთან მოხსენებიდგან სჩანს, მრავალ-ძალის ეკკლესიაზედ საიდგანღაც გამქრალა ყუთი, რომელშიაც დაცული ყოფილა ძვირფასი თვლები და მარგალიტები. ადგილობრივი ბლაღოჩინი ადგა და ეპისკოპოსის მოუხსენებლად შინაურული გამოძიება მოახდინა დაკარგულ ნივთების შესახებ. ადგილობრივს მღვდელს, რომელიც მამა გახლავთ ბლაღოჩინისა, უჩვენებია: რადგანაც დანაკარგის შესახებ არავისზედ არავითარი ეჭვი არა მაქვს, ამისათვის მე გადვუხდი ეკკლესიას იმ დაკარგულ ნივთების ფასს, ვინაიდგან ფასი თითოეულის მათგა[...]ნიშნული არის ქონებითის სიის წიგნშიო. სთქვა და გაათავა! ნეტავი ვიცოდეთ, რომელმა მეცნიერებმა და სწავლულებმა შეადგინეს ის ქონებითი სია, რომ მათი დაფასება ამ შემთხვევაში კანონად და სახელმძღვანელოდ მივიღოთ. ესეც რომ ასე არ იყოს, ნუ-თუ არ მოეხსენება პატივცემულს მრავალძალის მოძღვარს, რომ არიან ისეთნი ისტორიულნი ნაშთნი და ნივთნი, რომლებიც მეცნიერებისათვის ფას-დაუდებელნი არიან და ფულით არ მოიპოვებიან, თუნდა მილიონიც რომ ვინმემ დახარჯოს. კარგია, თქვენ ნუ მომიკვდეთ, ქვეყნის ამგეთი ფას-დაუდებელი ნივთები დაეკარგოს ეკკლესიის გაუტეხლად, ავაზაკთა თავ-დაუსხმელად და თქვენ არხეინად ბრძანოთ: ქონებითს სიაში ნაჩვენებს დაწინებულს ფასს დაკარგულ ნივთებისას შემოვიტანო.

ვინმე რაჭველი.

## ღია წერილი.

ბ-ნო ხონელო! არ ვიცი რად მოგდომებიათ ჩემს ფორმულიარში ჩახედვა. ვის რად ეპიტნავება, მე რა მოხელე კაცი ვარ. მაგრამ იქნება თქვენ კერძოდ გსურდათ გაგეგოთ, დიდ კაცთან გქონდათ საქმე თუ არა? მოგახსენებთ, რომ მართლაც მე სულ წვრილ-ფეხა მოსამსახურე გახლავართ; დიდ კაცს არა მიმიკავს-რა და არც „ლიჩნი სეკრეტარი“ მქვია. ხოლო რაც უნდა „ვინმე“ და თუნდ „ვიღაც“ ვიყო, ეს ჯიუტობა-კი მჭირს, რომ ჩემს თავზედ სიცრუეს არავის ვათქმევინებ და მეორე კიდევ ის, რომ არა საქმეზედ არ ვლაპარაკობ. ეს მგონი იმნაირი საფუძველი იქნება თქვენთვის, რომელზედაც თქვენის ფელეტონების აშენება შეუძლებელი გახდება.

დავიწყებ იმითი, რომ თქვენ წინა ფელეტონში მოყვანილი შინაარსი, ვითომ ჩემის წერილისა, სრულიად შორს არის ნამდვილისაგან, მოკლედ ვიტყვი, იგი განზრახ მოგონილი სრული სიცრუე და სიყალბეა. ამას მოგახსენებთ და ამ ბრალს გდებთ მე თქვენ, ბ. ხონელს, ვინც და რა ხელობის კაციც უნდა იყოთ, თუმცა

---

ერთობ იაფად იყიდებოდა და ჩითეულობის მეფაბრიკეებს ზარალი მოსდიოდათ. ზაფხულში დაეტყო ცოტა სიცოცხლე ვაჭრობას, მაგრამ 10 აგვისტოს ერთბაშად ბოლო მოეღო... „ნიჟეგოროდის“ ბაზრობის შემდეგ მოსკოვში ვაჭრობა სულ უარ-და-უარ მიდის...“

„Русскія Вѣдомости“-ს, არ ვიცი, რომელ ნომერში ბუხარელი კონსული სწერდა, რომ აზიის ბაზრის დიდი იმედი არ უნდა გვქონდესო, რადგან ბუხარაში რუსეთის ჩითს მხოლოდ საღებავის გამოსაღებად ყიდულობენო. ასე ძნელია რუსეთის მრეწველობისათვის ახალი ბაზრების მოპოვება!

შეიძლება თქვას მკითხველმა, რომ შესაძლებელია, რუსეთში სამიწადმოქმედო იარაღების წარმოება გადიდდეს და გაუმჯობესდესო. მაგრამ ამას დაუშლის უცხოელების კონკურენცია. ბაჟს, რაც ადევს უცხო მანქანებს, ვეღარ მოუმატებენ, რადგან თუ მოუმატეს, რუსის პურსაც ბაჟს დაადებენ. უცხოელების მწარმოებელი ძალა ისე დიდია და ისეთის სისწრაფით მიდის წინ, რომ იმ დაბრკოლებას, რომელსაც ბაჟი უხვდერებს, ადვილად გადალახავს და შეუძლებელს შეიქმს რუსეთში სამანქანო წარმოების ძლიერს განვითარებას. იგივე შეიძლება ითქვას სიმდიდრის საგნებზედ და, საზოგადოდ, ყოველ წარმოებაზე.

უნდა აღვიაროთ, ბ. ბელტოვის თქმისა არ იყოს, რომ პროცესსი კაპიტალიზმის განვითარებისა რუსეთში ჯერ არ დამთავრებულა. ციმბირის რკინის გზას დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ განვითარებაზედ. ციმბირის მდიდარი ქვეყნები მჭიდროდ დასახლდება და ამით მშვენიერი ბაზარი გამოუჩნდება რუსეთის მრეწველობას. ამას გარდა, ბამბეულობის მრეწველობას გარდა, სხვა-და-სხვა დარგი მრეწველობისა, რომელნიც ისე დამოკიდებული არ არიან „სახალხო“ ბაზარზედ, რამდენადაც უცხო კონკურრენცია ხელს არ შეუშლის, შეიძლება განვითარდენ რამდენადმე. თუმცა ის, რაც რუსეთის მრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს, ე. ი. ციმბირის ბაზარი, ბაჟები და სხ., რომ შევადაროთ მას, რაც ხელს უშლის, ე. ი. უცხო ქვეყნების კონკურრენციას პურით თუ სხვა-და-სხვა სამრეწველო დარგებით, დასაძრახავი არ ვიქნებით, თუ ეჭვი გვექნება რუსეთის კაპიტალიზმის მომავალზე.

მით უფრო, რომ, სანამ რუსეთი ტეხნიკით, ცოდნით და სხ. ევროპას დაეწეოდეს, მანამდის ევროპაში კაპიტალიზმი თავის დროს კიდევაც მოსჭამს და სხვა ეკონომიურ ფორმად იცვლება. მაშ უკან-კი ყოვლად შეუძლებელი იქნება, კაპიტალიზმმა კიდევ სადმე იბოგინოს.

III

ქვემოთ მოყვანილი ციფრები ცხადად გვიჩვენებენ: 1) რომ კაპიტალიზმი ძლიერ დაბლა დგას მთელს რუსეთის იმპერიაში და 2) კაპიტალიზმის განვითარებით კავკასია მხოლოდ თურქესტანსა და ციმბირს აღემატება.

თუ რად არის კაპიტალიზმი განუვითარებელი რუსეთში, მისი მიზეზი ზემოდ მოვიყვანეთ. ახლა ვიკითხოთ, რად ჩამორჩენილა კავკასია ზოგიერთ ქვეყნებითურთ ევროპელ რუსეთს და პოლშას? რა არის მიზეზი, რომ ერთსა-და-იმავე სახელმწიფოში ერთგან იზრდება მრეწველობა და მეორეგან არა?

მიზეზი ცხადია. ავიღოთ რომელიმე დარგი მრეწველობისა, თუნდ ბამბეულობის კეთება. ვსთქვათ იმპერიაში ერთი მილიონი საჟენი ბამბეულობა (ე. ი. ჩითი, პირკალი და სხ) არის საჭირო. მაშინ, თუ ამ რიცხვზედ მეტი მომზადდა, ზოგიერთი, უფრო ღარიბი, ფაბრიკანტები უთუოდ გაკოტრდებიან, რადგან სავაჭრო ფასი მისს ღირებულებაზედ ნაკლები შეიქნება. სად იქნება მისი ფაბრიკები? ცხადია, იქ, სადაც მისი წარმოება უფრო იაფად დაჯდება და სადაც ამ სავაჭროზედაც მეტი მოთხოვნილება იქნება. სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო მოსკოვი შეიქმნა ცენტრი ბამბეულობის მრეწველობისა. რაც ბამბეულობაზედ ითქვა, იგივე ითქმის ყოველ სხვა დარგზედ. ამიტომ კავკასიაში მხოლოდ იმ მადნების შოვნა და, ვინ იცის, ეგებ გადაკეთებაც შეიძლება, რომელნიც მხოლოდ კავკასიაში მოიპოვებიან, ან ძვირად იშოვებიან სხვაგან. გადავავლოთ თვალი სტატისტიკას.

თავისს წერილში „Народно-хозяйственные наброски“[1] კარიშევმა ამოკრიფა ცნობები „Сводъ данныхъ о фабрично-заводской промышленности Россіи“[2]-დგან, რომელსაც ყოველ წელიწადს გამოსცემს ხოლმე სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტი. ქვემოხსენებული ცნობები ეკუთვნიან უმეტესად 1891 წელს. სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს თვით ეს „სბორნიკი“, რომ უკეთ დავასურათოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. მხოლოდ მის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში ჯერ კაპიტალიზმი ძლიერ დაბლა დგას, ქვემო-მოყვანილი ცნობებიც სრულიად საკმაოა. აი ციფრები.

ერთი ფაბრიკა მოდის „პოლონეთში“ 480 მცხოვრებზედ, ევროპელ რუსეთის 50 გუბერნიაში 831-ზე, კავკასიაში 2,512-ზე, ციმბირში 3,132-ზე და თურქესტანში 4,228-

1) „Русское Богатство“. 1895 г. №№ 11, 12.

2) ამ „სბორნიკში“ არ შეუტანიათ ქარხლის შაქრის, არაყის, ლუდის, მთა მადნებისა და თუთუნის წარმოება. ცნობები ამ დარგთა შესახებ და აგრეთვე სხვა წლების წარმოებათა შესახებ ავტორს სხვა წყაროდგანა აქვს ამოღებული.

წინადვე დარწმუნებული ვარ, რომ დიდი თანამდებობა არც თქვენ უნდა გექიროთ.

მეორე ის, რომ შევეხე პირადობის დაცვას იმდენად, რამდენადაც საჭიროდ მიმაჩნდა იგი ქართულ თეატრის წარმატებისათვის და მხოლოდ ამ საგანზედ მქონდა ლაპარაკი; თქვენზედ კერძოდ-კი ვსთქვი, რომ თქვენ ცილი შესწამეთ ქართულ წარმოდგენების მმართველის ამხანაგობას. თქვენ ორივე საგანს გაუჩუმდით და სხვა რაღაცაზედ გააჭიანურეთ სიტყვა. გიმეორებთ მე თქვენ, ბ-ნ ხონელს, რომ თქვენ ამ ამხანაგობის წინაშე ჯერ ისევ ცილის მწამებელი ბრძანდებით. იმედი მაქვს, რასაც გაბრალებთ, ამის დასამტკიცებელი საბუთები თქვენთვის საჭირო აღარ იქნება და რაც შეეხება პასუხის გებას, მე მზადა ვარ ყოველგვარი პასუხი გაგცეთ. დაიმახსოვრეთ-კი, რომ ამ საგნების გარეშე მე თქვენთან ჯერ საქმე არა მაქვს. და ეს სინიდისიო, ეს სირცხვილიო და სხვა ამგვარი სიტყვები, რომლებსაც თქვენ ეგრე ადვილად ისვრით, ჩვენ მზრძანებლობის ქვეშ-კი არ უნდა იყვნენ, არამედ ჩვენ უნდა გვბრძანებლობდნენ და ამიტომ დავანებოთ მათ თავი, თავიანთს გზას თვითონ გაიკვლევენ ისინი.

პავლე ყიფიანი.

## ნიმუში „ხონელის“ მწერლობიდა.

მე მინდა მხოლოდ ერთი მაგალითი აღვნიშნო დღეს ხონელის მწერლობითის კეთილ სინდისიერებისა: „ივერიის“ 140 № ში დასტამბულია ბ. პავლე ყიფიანის წერილი, რომელიც აქვე მოგვყავს შეუცვლელად და სრულიად:

„კვალის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილი იყო ბიოგრაფია დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრებისა. მე მისარის, ჩუღოცა ჩემს ამხანაგებს, რომ ჩვენი წარსული ცხოვრება ისე წმინდა ყოფილა, რომ თვით ბ.—აკ—იმ ვერ გაჰბედა ცილის შეწამება. ჯერ-ჯერობით ჩვენ ამით ვიამაყოთ და მომავალი ხომ ჩვენზეა დამოკიდებული. ეს პირველი საქმეა, რომელიც საზოგადოებამ ჩვენ ჩაგვაბარა. ყველა ქართულ საქმის გულშემატკივარს ქართველს და მეტადრე ჩვენს მომღვრეს ჭეშმარიტებით ხელს გამართავს, და გამხნევება ჩვენი, მაგრამ ეს ჩვენს ცხოვრებაში წესად არ ყოფილა მიღებული. ნუ შეუშინდებით ნურც ამ გარემოებას ისე, როგორც შარშან არ შეუშინდით ამ ნაირსავე საქმეში ბ. ხონელის ცილისწამებას. რა ვუყოთ რომ ბ. აკ-ის მარტო აკვარისტები სწამს და სხვა არავინ; ან კიდევ რა ვუყოთ რომ ჩემი ბიოგრაფია ორი სიტყვისგან შესდგება „პავლე“ და „ყიფიანი“. ბრალი იმას, ვისაც თავის ბიოგრაფიის სიგრძისა ეშინია, თორემ ჩემს სახელს მე არსად გავურბი და არც ვისგან ვმალავ.

ახლა ვნახოთ, რა გვარის სიმართლით არის გადაღებული გაზ. „კავკაზის“ 179 № ში მოყვანილი წერილი ბ. ყიფიანისა, და რა გვარად მაწოდა „კავკაზის“ მკითხველებს „ხონელმა“:

„„ივერიის“ ერთ ერთს №-ში დასტამბულია ახალგაზრდა წერილი ვიღაც პავლე ყიფიანისა, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში წვრიმანის მოსამსახურისა“ (ნეტავ როდის აქეთ გახდა უფროსი ბუღალტერი წვრიმან მოსამსახურედ? შარშან, როგორც გვახსოვს, როცა გამობრძანებულის დაბრუნებას ჰფიქრობდენ ზოგიერთები, მაშინ „ხონელი“ და მისი დასი ხმამაღლა, თავ-მოსაბეზრებლად ღაღადებდენ: უფროსს ბუღალტერზედ არის დამყარებული მთელი ბანკი, თორემ ბანკის თავმჯდომარე რა არისო!..)

„ამ წერილში, განაგრძობს ხონელი, ავტორი ყველას აცნობებს, რომ იგი —მადლობა ღმერთს!—პოეტი, თავადი ავკი წერეთელი არ არის (?) (ასეა პირდაპირ ნათქვამი). „აი, ცოცხალი ურცხვობა!.. სად არის ეს პირ-დაპირ ნათქვამი, ბატონო სინდისიერო პუბლიცისტო??..“ „რომ იგი (პავლე ყიფიანი) და მისი მეგობრები იმითი არიან კარგნი, რომ მათ ვერავინ ვერ იცნობს და არასოდეს თავი არ დაუწინაურებიათ და სხვა-და სხვა... „და ბოლოს ბ. ყიფიანი სთხოვს (?!!..) „თავისთა“ ისეთივე დარჩნენ, როგორიც არიან, ესე იგი არასოდეს არ მაზამონ ნიჭიერთა, რომელთაც თავისის დაუსახურებით სამარადისოთ დაუვიწყებელყვეს თავისი სახელი თავისს ქვეყნის ლიტერატურაში... უკვლი ესე, გიმეორებ, დასტამბულია „ივერიაში“, ესე იგი იმ გაზეთში, რომლის რედაქტორად ქართველთა მეორე პოეტია...“

შეადარეთ, ბატონებო, პავლე ყიფიანის წერილი და „ხონელის“ მიერ გარდაცემული რუსულ ენაზედ თარგმანი შინაარსი და გვიბრძანეთ: არის რამე ერთგვარობა, მსგავსება და ნათესაობა ამ ორ წერილს შორის?

მე ასეთს წესს იმისას, ვინც „მწერლად“ სახავს თავისს თავს—არას დავ სძენ? დეე, თითონ „კავკაზის“ მკითხველებმა დაადგ სონ ღირსეულად!

შრომანი.

## მცირე შენიშვნა.

რომ არავინ თარგმნოს, ან ბეჭდვა არ დაიწყოს, ჩვენს სტამბაში იბეჭდება «სპარტაკი», ისტორიული რომანი ჯიოვანიოლისა, თარგმანი ნინო ბეჟ ნის ასულის ყიფიანისა.

კ. თავართქილაძე.

ქ. ბათუმი, 9 ივლისს.

## რუსეთის ცხოვრება.

„ოდესსკი ლისტოკს“ შეუტყვია, რომ სამინისტროში ზადდება თურმე პროექტი, რომელშიაც აღნიშნულია, რომელი ოლქების გიმნაზიებიდან რომელ უნივერსიტეტში შეიძლება შესვლა. ამპროექტის ძალით ვისაც ამიერ კავკასიაში გაუთავებია გიმნაზია, იმას ექმნება ნება შევიდეს მხოლოდ ოდესის უნივერსიტეტში, ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზედ და პეტერბურგისაში აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზედ. ვინც სხვა უნივერსიტეტში მოინდომებს შესვლას, მას დასჭირდება სამოსწავლო ოლქის მზრუნველის და სამინისტროს ნებართვა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

აი რას ამბობს სმირნოვისა ლერმონტოვის შესახებ:

„ჩემთან მოვიდა ლერმონტოვი და წამიკითხა პოემა დემონი, რომლის წერაც 15 თუ 16-ის წლისას დაეწყო. სწორედ ჭეშმარიტი პოეზია, საუცხოვო რამ არის! ჩემის აზრით, ეს პოემა მისს თხზულებებში საუკეთესო ნაწარმოებია. მისი ლექსი პუშკინის ლექსივით მშვენიერია. როდესაც ჩემი აზრი ვუთხარი, იგი გაწითლდა და ხელზედ მაკოცა.

ჟუკოვსკის დიდად მოსწონს პოემა „ვაჭარი კალაშნიკოვი“, მართლაც ამ პოემაში სავსებით იხატება რუსის კაცის სული, ლერმონტოვი ამ პოემაში სრულს თვისებურობას იჩენს. ჰაჯი-აბრეკში ზოგიერთი ადგილები შეუდარებელია, ხოლო რაც შეხება მისს პატარ-პატარა ნაწარმოებებს—ესენი ხომ ყოვლად უნაკლულო და პოეტურნი არიან. ის აღარ ჰბაძავს შილლერს, ბაირონს, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორი ფიცხი და დაუფიქრებელი კაცია; უთუოდ რაიმე უბედურებას შეიმთხვევს! ჩემს ძმას ალექსანდრეს ძალიან უყვარს და ამბობს, რომ მისი ახანაგი ოფიცრები ყველანი უთმობენ, რაც უნდა ქნას ლერმონტოვმა და მისის ნიჭით თავი მოსწონთო; მაგრამ საშინელი მოურიდებელია. საზარლად სტანჯავს მოწყენილობა, სძაგს თავისი სუბუქი ხასიათი, მაგრამ იმავ დროს თითქოს მოჯადოებული იყოს, ვერ ახერხებს თავი როგორმე დააღწიოს. სწორედ უცნაური კაცია. მართალია მასში დიდი არა მოიპოვება-რა—მაგრამ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ იგი ჭეშმარიტი პოეტია. ოცნებით გატაცებული და მცირე გრძნობა,—აი მისი ნაკლულევანება.

—

გერმანიის ჟურნალ-გაზეთობა ამ ჟამად დიდად დაინტერესებულია იაპონიისა და რუსეთის დამოკიდებულებით. ბერლინის გაზეთი „ნაციონალ ცეიტ.“-ში დაბეჭდილია წერილი აღმოსავლეთ-აზიის საქმეების შესახებ:

„იაპონელებისათვის 1895 წელი ისეთივეა, როგორიც რუსებისთვის 1878 წელი. 1878 წელს რუსებმა ვერ გაჰბედეს სტამბოლის აღება და იძულებულნი გახდნენ ევროპის სურვილს დაჰმორჩილებოდნენ ბერლინის კონგრესზედ. იაპონიაც ამავე დღეში იყო, როდესაც მისი ძლევამოსილი ჯარი პეკინს მივიდა; იაპონია იძულებული გახდა რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის მიერ წარდგენილს წინადადებას დაჰმორჩილებოდა. ამიტომ რუსებს სრულიადაც არ უკვირთ, რომ იაპონელებს დღემდის გულში ხინჯი აქვთ, რადგანაც თვითონაც უკმაყოფილონი არიან 1878 წლის შემდეგ. დიდი ერი მის დღეში ვერ აიტანს თვისს შეურაცხყოფას თუმცა დიპლომატია თხოულობს, რომ იგი დაემორჩილოს სახელმწიფოთა მოთხოვნილებას და ისიც ემორჩილება გარემოებას. მაგრამ ამას იაპონია ვერ დაივიწყებს. იაპონელებსა და რუსებს შორის მტრობა თან-და-თან ძლიერდება. ეს ორი ერი მუდამ ერთი მეორეს ეღობება წინ თავისს გეგმების აღსრულების დროს. ის გარემოება, რომ რუსეთს ჰსურს „გაუყინავი ნავთ-სადგური“ შეიძინოს, პირ-დაპირ ამჟღავნებს რუსეთის განზრახვას, კორეასა და ლიატონგის კუნძულების ხელში ჩაგდებას. ეს არის მიზეზი, რომ ამ ბოლო დროს დიდად სცდილობს იაპონია, რაც შეიძლება უკეთესად შეიარაღებული მხედრობა ჰყავდეს. ამ მხრივ იაპონიას ფრანგ-რუსთა ფული დაეხმარება და საშუალება მიეცემა რუსეთის მხედრობას მხარში ამოუდგეს და ზღვის ძალა რუსეთისაზედ უფრო მეტად გააძლიეროს. დასასრულ იაპონელებმა კარგად იციან ისიც, რომ რუსეთთან ბრძოლაში მას უთუოდ მხარს დაუჭერს ვინმე.

## უცხოეთის გაზეთების აზრი სტამბულოვის მკვლელობის გამო.

საზოგადოდ ევროპის გაზეთები შეძრწუნებულნი არიან სტამბულოვის მკვლელობით. „პოსტ“ იხსენებსრა ზიზღით მკვლელთ, ამბობს, რომ ბულგარიის მომავ ლი საშიშს მდგომარეობაშიაო. „ნაციონალ ცეიტუნგ“ დამნაშავეთ აღიარებს თვით ფერდინანდ კობურგელს. „ფოსიშე ცეიტუნგ“ ურჩევს პრინც ფერდინანდს—ბულგარიაში ნუღარ დაბრუნდებიო. „კელნიშე ცეიტუნგ“ სწერს: რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა სტამბულოვი ინახულაო; სტამბულოვმა კორესპონდენტს უამბო, რომ მის წინააღმდეგ კარგა ხანია შეთქმულობა არსებობსო, მთავრობამ იცის ეს და არავითარს ღონისძიებას არ იღებსო; შეთქმულთა რიცხვში სტამბულოვმა დაასახელა: ტიუფექჩიევი, გალუ, როზავევი და სხვანიო. „ჩემის სიკვდილის შემდეგო, სთქვა თურ-

—

ზე. არ იფიქროთ-კი, მკითხველო, რომ მარტო ეს ციფრები კმაროდენ საქმის ნათლად გამოსაჩენად. ერთის შეხედვით კაცს ეგონება, რომ რუსეთში კაპიტალიზმი უმაღლეს წერტილამდის მისულა, რა-კი ერთი ფაბრიკა 831 მცხოვრებზედ არისო. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ანგარიშში ნამდვილი ფაბრიკები და უბრალო სახელოსნოები ერთად არიან არეულნი, ასე-რომ 126 ათ. ს ფაბრიკაში 103-ათას ფაბრიკა არ დაერქმის. ამ 103-ათას ფაბრიკაში თვითეულში საშუალო რიცხვით 1,4 მუშა მუშაობს. დანარჩენ ფაბრიკებშიაც თვითეულში 40 მუშაზე მეტი არ არის. მაგრამ 40 მუშა მხოლოდ საშუალო რიცხვია. ნამდვილად-კი დიდ ფაბრიკებსა და პატარეებს შორის დიდი განსხვავებაა. მაგალითად, ვლადიმირის გუბერნიის 13 საბამბეულო ფაბრიკაში 38,244 მუშა არის, ე. ი. 2,942 თითოეულში.

ეს კიდევ არაფერი. დიდი ფაბრიკები ევროპელ რუსეთის 50 გუბერნიაში უფრო დიდები არიან, ვიდრე სხვაგან:

| მუშათა რიცხვი | დიდ ფაბრიკებში. | წვრილ ფაბრიკებში. |
|---|---|---|
| ევროპელ რუსეთის 50 გუბერნიაში | 44 | —1,4 |
| პოლონეთში | 32,2 | —1,2 |
| კავკასიაში | 10,5 | —1,3 |
| ციმბირში | 12,2 | —1,7 |
| თურქესტანში | 8,2 | —1,3 |

წარმოიდგინეთ, მკითხველო, როგორი „დიდი“ ფაბრიკები უნდა იყოს კავკასიაში, როდესაც თითოში საშუალო რიცხვით ათ მუშაზედ მეტი არ მუშაობს. წვრილი ფაბრიკები (?) ხომ სათქმელიც არ არის.

ახლა ვიკითხოთ, რამდენი საფაბრიკო მუშაა რუსეთის იმპერიის სხვა-და სხვა ნაწილებში. აი ციფრები:

| | მუშები. |
|---|---|
| 1) ევროპელ რუსეთის 50 გუბერნიაში | 860.476=84,2°/₀ |
| 2) პოლონეთში | 132.118=12,9°/₀ |
| 3) კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში | 16.037= 1,5°/₀ |
| 4) ციმბირში | 8.905= 0,9°/₀ |
| 5) თურქესტანში | 4.905= 0,5°/₀ |

ასე რომ საფბრიკო მუშათა რიცხვი შეადგენს პოლონეთში 1,6°/₀-ს მცხოვრელების რიცხვისა, ევროპელ რუსეთში 1°/₀-ს, კავკასიაში 0,22°/₀-ს, ციმბირში 0,19°/₀ თურქესტანში 0,07°/₀-ს. მართალია, არ არიან ნაანგარიშევნი მრეწველობის ზოგიერთი დარგების მუშები, მაგრამ, ჯერ ერთი, გამოტოვებულების მიმატებით ხსენებულ ციფრებს ცოტა თუ მიემატებოდათ-რამე და, მეორე, ორჯელაც რომ გავამრავლოთ ეს ციფრები, მკითხველი დამერწმუნება, მაინც დიდი არა გამოვა-რა. რაკ შეეხება კავკასიას, მისი კაპიტალისტური განვითარება სახსენებელიც არ არი: აბა რა კაპიტალიზმი უნდა იყოს იქ, სადაკ საფაბრიკო (და საფაბრიკო კი?) მუშათა რიცხვი მცხოვრებთა მხოლოდ 0,22°/₀-ს შეადგენს. რომ უფრო ნათლად წარმოუდგეს თვალ-წინ მკითხველს კავკასიის ეკონომიური განუვითარებლობა, აღვნიშნავთ შემდეგ ფაქტს: კავკასიის ფაბრიკების (უფრო სახელოსნოების) წლიური წარმოება რუსეთის იმპერიის წარმოების მხოლოდ $^5/_8$°/₀-ს შეადგენს.

მაგრამ შეიძლება იფიქროს ვინმე, რომ ჩვენში ჯერ თუმცა ცოტა ქარხანა [1]) გვაქვს, მაგრამ მისი რიცხვი, რუსეთის იმპერიის სხვა კუთხეებთან შედარებით, ძლიერ იზრდებაო. ვნახოთ, რას გვეუბნებიან ციფრები:

| | ქარხნების რიცხვი. 1885 წ. | 1891 წ. |
|---|---|---|
| ევროპელ რუსეთის 50 გუბერნიაში იყო | 54.970 | —102.751 |
| პოლონეთში | 6.023 | —17.281 |
| კავკასიაში | 2.012 | —2895 |

ამგვარად, როდესაც ევროპელ რუსეთში ქარხნების რიცხვს თითქმის ორჯერ უმატნია და პოლონეთში თითქმის სამჯერ, ჩვენში ძლიერ მცირედათ.

რომ არავინ იფიქროს, რომ მუშათა რიცხვი ძლიერ იზრდებოდეს, შედარებით, კავკასიაში, ამის შესახებაც მოვიყვანთ ციფრებს:

| | მუშათა რიცხვი. 1885 წ. | 1891 წ. |
|---|---|---|
| ევროპელ რუსეთის 50 გუბერნიაში | 684.182 | —860.476 |
| პოლონეთში | 98.213 | —132.118 |
| კავკასიაში | 16.271 | —16.037. |

ამგვარად, მაშინ როდესაც ყველგან უმატნია ხსენებულის ხნის განმავლობაში მუშათა რიცხვს კავკასიაში უკლია.

ეს ფაქტები ცხადად ამტკიცებენ, რა დაბლა დგას კაპიტალიზმი რუსეთში. მართლაც რა უნდა იყოს თუნდ ერთი მილიონი საფაბრიკო მუშა ევროპელ რუსეთის 50 გუბერნიისათვის. და მერე ნამდვილი საფაბრიკო მუშა ხომ ისე მცირეა რიცხვით, რომ ვინც კაპიტალიზმს აღიარებენ რუსეთში, განგებ იხვევენ თვალებს, მგონია. როდესაც სტატისტიკა გვეუბნებათ, რომ 1885 წლიდგან 1891 წლამდის ქარხნების რიცხვმა 47.781-ით იმატაო, ერთი შეხედვით იფიქრებთ, კარგად უზარდნია მრეწველობასო, მაგრამ, როდესაც ტყუბილობათ, რომ იმავ დროს 176.294 მუშას მოუმატნია, მაშინ ცხადად რწმუნდებით, რომ აქ კაპიტალისტური მრეწველობა არაფერს შუაშია. მართლაც, რომ დავანაწილოთ მომეტებულ მუშათა რიცხვი მომეტებულ ქარხნებზედ, თითო ახალ ქარხანაზედ, დაახლოებით, $3^1/_2$ მუშა მოვა.

რასაკვირველია, ყოველი ზენკალი, დურგალი და მჭედელი თუ კაპიტალისტებად შევრიცხეთ, მაშინ ნება გვექნება ვთქვათ, რომ რუსეთში კაპიტალიზმი დიდის სისწრაფით მიდის წინ-თქო. ხოლო ჩვენში, წინააღმდეგ ბ. ნ. ჟორდანიისა, არც ამგვარი კაპიტალიზმი მიდის დიდის სისწრაფით.

(შემდეგი იქნება).

1) ამ სახელსა ვუწოდებ მე ამ წერილში ფაბრიკასა და სახელოსნოს განურჩევლად.

მე სტამბულოვმა, ჩემი მეგობრები დაბეჭდენ საბუთებს, რომლიდგან მთელი ქვეყანა გაიგებს, თუ როგორ ჯილდოვდება ბულგარიაში ერთგული სამსახური“. „ნორდდეიტჩე ალგემეინე ცეიტუნგ“ ამბობს, რომ სტამბულოვის მკვლელობა მთელს გერმანიას შეაწუხებსო, თუმცა მის შესახებ სხვა-და-სხვა პარტია, სხვა-და-სხვა შეხედულებისა არისო. მომავალი ისტორიაო, ამბობს გაზეთი, დააფასებს უტყუარად სტამბულოვის მოღვაწეობას, ახლა-კი თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბულგარიის ერმა დაკარგა უნიჭიერესი შვილიო. „რეიტერის დეპეშათა სააგენტოს“ სოფიიდგან ატყობინებენ: „პოლიციის მოქმედებას ძლიერ ჰკიცხავენ სოფიაში. პოლიციამ დააკავა სტამბულოვის მოსამსახურე, რომელიც მკვლელს გამოეკიდა. ერთ ქალს დაუნახავს, რომ პოლიციის ინსპექტორს დაუჭრია მოსამსახურე, რომელიც მკვლელს გამოჰკიდებია და ინსპექტორისათვის რევოლვერი უთხოვნია. მთავრობასაც სდებენ აქ ბრალს: სტამბულოვს უთხოვნია საქიმოდ საზღვარ-გარედ წასვლის ნება, მთავრობას უარი უთქვამს; უცხო ქვეყნის წარმომადგენელთაც ურჩევიათ მთავრობისათვის—გაეშვათ საზღვარ-გარეთ სტამბულოვი, რაგანაც შეთქმულობა არსებობსო, მაგრამ მთავრობას არც ამათთვის უთხოვებია ყური“.

### უცხოეთის წვრილი ამბავი.

ერთმა სტატისტიკოსმა გამოიანგარიშა, რამდენს წუმწუმას ხმარობენ ევროპაში. ამ ანგარიშით ევროპელნი თურმე დღეში ორ მილიარდს წუმწუმას სწვავენ. თითო წუმწუმა რომ ერთი დეციგრამი ვიანგარიშოთ სიმძიმით, გამოვა, რომ 12,000 ფუთი წუმწუმა იწვება ყოველ დღე. ყველაზედ ბევრს წუმწუმას გერმანიაში სწვავენ, იქ თითო კაცზედ თორმეტი წუმწუმა მოდის დღეში, ბელგიაში ცხრა, ინგლისში რვა და საფრანგეთში 6.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 ივლისი.

**პეტერბურგი.** საბერძნეთის დედოფალი 9 ივლისს პავლოვსკში მობრძანდა.

აბისსინიის პრინცმა თვისის ამალით 9 ივლისს ალდგოზის მონასტერში მოისმინა წირვა. დღეს აბისსინიის ელჩები კრასნოსელსკის ბანაკში მიდიან.

როგორც გაზეთები ამბობენ, ფინლიანდიის სენატში განზრახვა თურმე აქვთ შემოდგომაზედ ფინლიანდიის მართლ-მადიდებელ სამღვდელოების შტატები განიხილონ და მღვდელმსახურთა რიცხვი გაამრავლონ.

**რომი**, 9 ივლისი. სპეციის მახლობლად იტალიის ორი გემი ერთმანეთს დაეჯახნენ. ერთი ამათგანი ზღვაში ჩაიძირა. დაიღუპა 148 კაცი.

**სოფია**, 9 ივლისი. სტამბულოვის დასაფლავებაზედ კვლავ დიდი არეულობა მოხდა: სასაფლაოს მახლობლად ფეხით გათელილ გვირგვინებით იყო მოფენილი ქუჩა; სტამბულოვისაგან დასჯილ მაიორის პანიცის პარაკლისზედ დასასწრებლად ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი; პანიცის საფლავი ბაირაღებითა და ყვავილებით იყო შემკული; ამ მრავალ რიცხვოვანს ბრბოს მხოლოდ ცხენოსანმა რაზმმა შეუშალა ხელი, რომ სტამბულოვის პატივისმცემელთათვის უსიამოვნება-რამ აეტეხათ. სტამბულოვის საფლავზედ არავის სიტყვა არ წარმოუთქვამს. დასაფლავების შემდეგ მის მოწინააღმდეგე პარტიების წარმომადგენლებმა დემონსტრაცია გამართეს იმათ საფლავებზედ, რომლებიც დასჯილნი იქმნენ ვითომ-და ბელჩევის მოკვლაში მონაწილეობის მიღებისათვის. სამღვდელოებამ საფლავები აკურთხა; მრავალი სიტყვა იქმნა წარმოთქმული; ორატორები სტამბულოვის ხსენებას შეურაცხჰყოფდნენ. პოლიციამ საჭიროდ არ სცნო დემონსტრაცია შეეწყვიტა.

### „ივერიის“ ფოსტა.

**ოქროყანას—ი. როსტომაშვილს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე[illegible] აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)


### გამოწვევა აღსასრულებლად სამხედრო სამსახურის მოვალეობისა.

გორის მაზრის სამხედრო სამსახურის **გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ამ მდგომარე წელსა ყმაწვილთა კაცთა გამოწვევა სამსახურის აღსასრულებლად დანიშნული იქნება შემდეგს დღეებში:

მეოთხე ჯავის ნაწილში ს. ჯავაში 15 ღვინობისთვეს.

მესამე ცხინვალის ნაწილში სოფელს ცხინვალს 22 ღვინობისთვეს.

მეორე მიხაილოვის ნაწილში, სოფელს სურამს 29 ღვინობისთვეს და

პირველს გორის ნაწილში, გორში 6 გიორგობისთვეს.

ამ ზემო მოხსენებულს დღეებში უნდა აუცილებლივ გამოცხადნენ თავ-თავიანთს ადგილებში.

1) ისპირნი, რომლების წლოვანობაც უნდა განისაზღვროს გარეგანის შეხედულობით 109 და 112 მუხ. სამხედრო სამსახურისა.

2) რომლებიც თანახმად 158,217 და 218 მუხლებისა სამხედრო სამსახურის წესდებისა დაინიშნებიან უკენჯოდ.

3) რომელთაც ვადა აქვთ მიცემული მომავალ გამოწვევამდის.

4) სუყველანი, ვინც-კი შეტანილნი არიან გამოსაწვევ სიებში, ამა წლის გარდა:

ა) იმ პირთ, რომელნიც შემდეგ ამისა იქნენ აღყვანილ მღვდლის ხარისხზე მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისა და სხვათა ქრისტეს მორწმუნეთა, აგრეთვე მართლ-მადიდებელ მედავითნენი.

ბ) იმა მოსწავლეთა, რომელთაც გამგეობისაგან მიცემული აქვთ დრო სწავლის დასრულებამდე და

გ) იმ პირთა, რომელთაც გამგეობისაგან მიენიჭათ პირველი ხარისხის შეღავათი, გარდა ებრაელთა.

თავმჯდომარე ი. სულხანიშვილი.


## წებო ბუზებისათვის

ამხანაგობის ფაბრიკისა

**რ. კელერისა ზ ამხ.** მოსკოვში.

ისყიდება **ყველგან და ყველა** დიდ ვაჭრებთან.

ყველაზედ იაფი, ნამდვილი, ფაქიზი და სრულიად უშიშარი საშუალებაა ბუზების წინააღმდეგ

(2—23—1).



„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |



## პ. ს. დოროჟნოვი (იაროსლავიდგან).

სასახლის ქ. ახალი სახლი სარაჯევისა, ეზოში.

ჩემ მიერ ახლად გახსნილს მაღაზიაში ვურჩევ ისარგებლონ და იყიდონ

**ი ა ფ ფ ა ს ა დ**

ბაქოს იარმუკობაზედ დარჩენილი საქონელი: ნამდვილი იაროსლავური ტილო, ხელით ნამუშავარი, პერანგეებისა, პერანგის ამხანაგებისა, ზეწრებისათვის და სხ. ყველა ფასებისა; ისყიდება აგრეთვე სტოლის საფარებელი ხელსახოცები, ნაქსოვი საბნები, ხავერდის ნოხები, სუფრები და ტილოსი და ბამბეულობის საქონელი.

ეს ვაჭრობა სულ მცირე ხანს იქნება და ზემოდ აღნიშნული სავაჭრო დანიშნულ ფსზედ ნაკლებად არ გაისყიდება. (10—1644—1).



იბეჭდება და მალე გამოვა

## ა. ს. მესხის

## დრამატიული ნაწარმოები

სამ წიგნად.

წიგნი პირველი:

1) **თამარ ბატონიშვილი**, ხუთ-მოქმედებიანი დრამა.

2) **ბაგრატ მე IV, იმერეთის მეფე**, დრამა 4 მოქმედებად.

3) **ქარაფშუტა**, სამ-მოქმედებიანი კომედია.

მეორე წიგნი:

1) **რუსთაველი**, ოთხ-მოქმედებიანი პიესა.

2) **სამშობლოს სადიდებლად**, ტრაგედია ხუთ-მოქმედებად.

3) **შეშლილია**, ორ-მოქმედებიანი პიესა, თარგმანი.

მესამე წიგნი:

1) **ირაკლი მეორე**, ხუთ-მოქმედებიანი დრამა.

2) **ჭირვეული ცოლის მორჯულება**, კომედია შექსპირისა, მოხერხებული ქართულ სცენისათვის.

3) Madame Sans-Gêne, (მოურიდებელი ქალბატონი) თარგმანი.

ვინც **დაბეჭდვამდის**, ახლავე, გამოიწერს, სამივე წიგნი დაუთმობა 2 მ. ნ. დაბეჭდვის შემდეგ 3 მან. ვინც **20 ეგზემპლიარს ზ მეტს** გამოიწერს, თითო ეგზემპლიარი (სამი წიგნი) დაუთმობა 1 მ. 50 კ. გამოსაწერად მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში, **ა. ს. მესხს.**



**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება

## „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);

2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);

3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**;

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა**,

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, **ტფილისს** (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემების სადგურებზედ. 50—6—35


Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Іюля 1895 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის

რედ.-ქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.